

ანტიკური ლიტერატურა

ჰომეროსი. ილიადა: მეორეხარისხოვანი პერსონაჟები

ვახტანგ ენდელაძე

endeladze.vakhtangi@atsu.edu.ge

აპაქი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ჰომეროსის ეპოსის მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე, რომლებიც ირაზმებიან მთავარი გმირის ან გმირების ირგვლივ და აქტიურად მონაწილეობენ მოქმედების განვითარებაში, ასრულებენ დადებით ან უარყოფით როლს. მთავარ გმირთა სახის გახსნაში მეორეხარისხოვან პერსონაჟებს დიდი ფუნქცია აკისრიათ. ჰომეროსის ეპოსში მათი საშუალებით წარმოიშობება მთავარი გმირის სახე, მისი სიმამაცე თუ უძლურობა. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან ჰომეროსის გმირებს ამა თუ იმ სიძნელისა თუ დაბრკოლების გადალახვაში. არის შემთხვევები, როდესაც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მთავარ გმირებს, დახმარების ნაცვლად, პირიქით, ხელს უშლიან დასახული მიზნის მიღწევაში. რა როლს ასრულებს მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ჰომეროსთან, დამოკიდებულია იმაზე, რისი ხაზგასმა სურს ეპიკოსს გმირში. ჩვენ მიერ სტატიაში წარმოდგენილი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ქმნიან კონფლიქტს, ავითარებენ სიუჟეტს და მთავარი გმირის ტრანსფორმაციის კატალიზატორნი არიან. ურთიერთობა, რომელსაც ეპიკური გმირი ქმნის ამ მეორეხარისხოვან პერსონაჟებთან, ავითარებს ერთ უწყვეტ რკალს და როგორ წყდება ეს ურთიერთობები, ეს ჰომეროსის ეპოსის სიუჟეტის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ხაზი, რომელიც, ხშირად, თითქოს მეორე პლანზეა, მაგრამ უნიკალურია და თუ „ილიადა“ „ილიადაა“, „ოდისეა“ – „ოდისეა“ და „ენეიდა“ – „ენეიდა“, ამაში, აქილევსთან, ოდისევსთან და ენეასთან ერთად, ანდრომაქეს, პენელოპეს და კამილას წვლილიც საკმაოდ დიდია. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“, შეიძლება ითქვას, დამხმარე პერსონაჟები არიან, ისინი, ვინც, ერთის მხრივ, მთავარ გმირს ეხმარებიან უკეთესი ან უარესი ასპექტით გამოჩნდნენ და მეორეს მხრივ, მკითხველს ეხმარებიან, უკეთ დაინახონ, შეიყვარონ, შეიძულონ მთავარი გმირი, ან დარჩნენ სრულიად ნეიტრალური მათ მიმართ.

საკვანძო სიტყვები: მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, ეპიკური პოეზია, ანტიკური ლიტერატურის გმირი, მხატვრული სახე, ეპიკური სახე, მთავარი პერსონაჟი, ლიტერატურა.

ვ. ენდელაძე

არსებობენ მრავალჯერადი აღფრთოვანების და შესწავლის ობიექტები - მხატვრული ნაწარმოებების მთავარი და შედარებით შუესწავლელი, ჩვენი აზრით, დაუფასებლად უყურადღებოდ დატოვებული, მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. ჩვენ სწორედ მათი შესწავლა დავისახეთ მიზნად.

სტატიაში შევეცდებით, გავაანალიზოთ ჰომეროსის „ილიადაში“ მეორეხარისხოვან პერსონაჟთა ფუნქციები, გამომსახველობითი ხერხები, მათი როლი სიუჟეტის განვითარებაში და „დამსახურებული“ ადგილი მიუზიჩინოთ მათ ცნობილი ნაწარმოების განსაკუთრებულობაში, არანაკლებ ცნობილი მთავარი გმირების გვერდით.

მიზნის მისაღწევად, მუშაობა წარვმართეთ შემდეგი მიმართულებებით: განვსაზღვრეთ ზოგადად, პერსონაჟის და კონკრეტულად, მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტები, როგორცაა: მხატვრული სახე, მთავარი პერსონაჟი, მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, ანტიკური ეპოსის გმირი; მოვახდინეთ მეორეხარისხოვან პერსონაჟთა კლასიფიკაცია ჰომეროსის „ილიადაში“ მათი როლისა და ფუნქციის მიხედვით (Homo Sapiens: გმირთა უკეთ წარმომჩენები, მისნები, კრებითი პერსონაჟები...; უტყვეები: ცხოველები, ფრინველები, არამატერიალური სახის მქონენი; ბუნების მოვლენები...); ვაჩვენეთ, რა განსხვავებული დატვირთვა მიიღო მეორეხარისხოვანმა პერსონაჟმა ჰომეროსის შემოქმედებაში; დავადგინეთ მეორეხარისხოვან პერსონაჟთა წარმოსახვის ზოგადი კანონზომიერებები ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში. ახლა რამდენიმე მათგანს თქვენს სამსჯავროზე გამოვიტანთ.

კვლევისას „ილიადაში“ სულ „აღმოვაჩინეთ“ 48 პირველხარისხოვანი ფუნქციის მქონე მეორეხარისხოვანი პერსონაჟი. მათგან, 18 მამაკაცია, 2 - ქალი, 4 - კრებითი სახელი, 2 - მისანი; 4 - ფრინველი, 5 - ცხოველი, 4 - სული, 3 - ბუნების მოვლენა (ქარები). რაც შეეხება არამატერიალური სახის მქონე პერსონაჟებს, მათ შემთხვევაში, რაოდენობის თვალსაზრისით, შემდეგი სურათი გამოიყო: სიზმარი - 1; ლოცვა - 1; სიამაყე - 1; ძილი - 2; შიში - 1; ძრწოლა - 1; სიკვდილი - 1.

ყველანი სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ პოემის მთავარ გმირებთან მიმართებით.

„ილიადას“ პირველივე სიმღერაში არის ერთი ეპიზოდი, მეორეხარისხოვან პერსონაჟ თერსიტესით. ჰომეროსი თერსიტესს შემდეგნაირად ახასიათებს: „მას გულში ჰქონდა უთაგბოლო და უაზრო სიტყვები, რომლებითაც, ყოველგვარი წესრიგის გარეშე, ეკამათებოდა მეფეებს, ოღონდ კი რამენაირად არგოსელები გაეცინებინა - უსამარცხვინოესი კაცი იყო იმათ-

გან, ვინც ილიონში ჩავიდა (ჰომ., ილიად., 1, 220-225). მიუხედავად ასეთი დახასიათებისა, მოდით, გავიაზროთ თერსიტეტის ფუნქცია ამ ეპიზოდში და ზოგადად, პოემაში „ილიადა“: 1. იგი არის პირველი გმირი მსოფლიო მწერლობაში, რომელიც მასზე მაღლა მდგომის მიმართ საყვედურს აფიქსირებს (ამ შემთხვევაში ზელადების მიმართ); 2. პირველია მხატვრულ მწერლობაში, ვინც უსამართლობის წინააღმდეგ გამოდის; შესაბამისად, სხვა ფუნქციაც რომ არ ჰქონდეს თერსიტესს ამ პოემაში, თავისი როლი, როგორც პირველი მემბოხისა, ლიტერატურის ისტორიაში უკვე დაიმკვიდრა; ასევე, 3. თერსიტესის ეპიზოდში იხსნება მთავარი გმირების სახეები: აგამემნონის, როგორც უსამართლოდ წილის მიმთვისებლის, ოდისეის - როგორც საკმაოდ უხეში მეომრის, და ბოლოს აქილევსის, როგორც სწორ, სამართლიან, დაჩაგრულთა დამცველის, პოზიციაზე მდგომის.

მოხუცი ტროელების ეპიზოდი, რომლებიც პირველად მოკრავენ თვალს მშვენიერ ელენეს. სხედან მოხუცები ტროას კედლებთან და ბუზღუნებენ, რა გახდა ეს ქალი ასეთი, ამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე რატომ უნდა შეეწიროსო. ამ დროს ჩამოივლის მშვენიერი ელენე. მოხუცები ჯერ პირს დააღებენ, ელენეს სილამაზით მოხიბლულები, შემდეგ კი, თავს გადააქნევ-გადმოაქნევენ და იტყვიან - ო, არა, ასეთი ქალისთვის კი ღირს ამდენი დავიდარაბაო. რა გააკეთა ჰომეროსმა? მან, როგორც დიდმა გენიოსმა, კარგად იცოდა, ალბათ, რომ "ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლი"; რომ ძნელი იქნებოდა აღწერა ქალის ისეთი სილამაზე, ყველას ერთნაირად რომ აღაფრთოვანებდა. ამიტომ პოემაში ვერ ვიპოვით ელენეს ფიზიკური სილამაზის აღწერას და არც ვიცით, ქერა იყო, შავთმიანი თუ ჟღალთმიანი, ცისფერი თვალები ჰქონდა თუ შავი, მაგრამ თუ მრავლისმნახველი მოხუცების ემოციებზე იმოქმედა მისმა სილამაზემ, ჰომეროსმა ეჭვიც აღარ დაუტოვა მკითხველს, რომ მართლა მშვენიერი იქნებოდა ელენე. და ამის საჩვენებლად ეპიკოსმა მეორეხარისხოვანი პერსონაჟები - ბუზღუნა ტროელი მოხუცები გამოიყენა.

გარდა იმისა, რომ ბრძოლებში ჩანს მთავარი გმირების სიმამაცე, ნიუანსებშიც ცდილობს ჰომეროსი მათი სრული პორტრეტის დახატვას. გავისხენოთ, მაგალითად, მენელაოსისა და ადრასტოსის შეხვედრის ეპიზოდი. მენელაოსს ადრასტოსი ეუბნება: „მაჩუქე სიცოცხლე, ატრევსის ვაჟო, და ღირსეული გამოსასყიდი მიიღე (ჰომ., ილიად., 6, 50-55). მენელაოსი თავდაპირველად თითქოს დაფიქრდება, ადრასტოსს სიცოცხლე შეუნარჩუნოს, თუმცა ამ დროს მასთან აგამემნონი მიიჭრება და ეტყვის, გულჩვილო მენელაოს, რას ეფერები ამ კაცს, ტროელები სახლში შემოგიცვივდნენ

ვ. ენდელაძე

და ეს კაცი საკუთარი ხელით უნდა დაღუპო. ამ ეპიზოდში ჩვენ ვხედავთ, რომ მენელაოსი ერთდორულად არის მგრძნობიარე, მიმტევებელიც, თუმცა, როცა საქმე საკუთარი ხალხისა და ღირსების დახცვას ეხება, შეუძლია იყოს სასტიკი და შეუზრალეული.

აგამემნონის მხატვრული სახე, კარგად იხსნება იმ ეპიზოდში, სადაც იგი პეისანდროსსა და ჰიპოლიქოსს დაამარცხებს. ისინი გმირს ევედრებიან: „ცოცხლად აგვიყვანე, ატრეცის ძეო, და ღირსეული გამოსასყიდი მიიღეო, თუმცა აგამემნონი მათ არ შეიზრალეს და ორივეს სიცოცხლეს გამოასალმებს (ჰომ., ილიად., 11, 130-135). ამ ეპიზოდმა ჩვენი ყურადღება იმითი მიიპყრო, რომ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მთავარ გმირს ერთგვარ ქრთამს სთავაზობენ სიცოცხლის გადასარჩენად. ცხადია, აქაველი გმირების ბრძოლა ტროელების წინააღმდეგ, ძირითადად, ელენეს დაბრუნებაზეა ორიენტირებული, თუმცა, ამასთან ერთად, ნადავლის თან წამოღებაც სურთ. სწორედ ამას ედავებოდა პოემის დასაწყისში თერსიტესი აგამემნონს - მთელი ნადავლი თქვენ მიგავექვთო. ამის მიუხედავად, როცა საქმე ეხება ბერძნების ღირსებასა და მორალს, ვხედავთ, როგორ იწევს უკანა პლანზე გმირებისთვის მატერიალური კეთილდღეობა - აგამემნონი უარს ამბობს „ქრთამზე“ და ტყვეებს სიცოცხლეს მოუსწრაფებს. მეორეხარისხოვანი პერსონაჟების, პეისანდროსის და ჰიპოლიქოსის როლიც პოემაში საკმაოდ პირველხარისხოვანია - მათ ეპიზოდში დავრწმუნდით, რომ აგამემნონი არ იყიდება.

ცნობილი ფაქტია, რომ „ილიადაში“ არ არის აღწერილი აქილევსის გარდაცვალება, მაგრამ თეტისის წინასწარმეტყველებაში, რომ აქილევსი მოკვდება უმაღვე, ჰექტორის შემდეგ, როგორც რისმაგ გორდეზიანიც მიანიშნებს, კიკლიკური პოემების მოტივთა სესხებასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ აქილევსის მომავალი სიკვდილის ასოციაციის აღმვრასთან (გორდეზიანი 2014: 58-59). ტროელი ქალების მიერ ჰექტორის დატირების მიზანსცენის ფუნქცია ისიც უნდა იყოს, რომ ტროას დანგრევაზე მიგვანიშნებენ, საკუთარ თავსაც რომ დასტირიან ჰექტორთან ერთად. ასე რომ, არც ტროას დანგრევა აღწერა ჰომეროსმა, მაგრამ უფრო მეტს დეტალები მეორეხარისხოვანი პერსონაჟებით გვიყვება.

საკმაოდ საინტერესოდ ახდენს ჰომეროსი მასის, როგორც მოქმედი ძალის და კრებითი მეორეხარისხოვანი პერსონაჟების, ჩართვას თავისი პოემის სტრუქტურაში. „ილიადაში“ ერთ მხარეზე არიან აქაველები, ხოლო მეორეზე - ტროელები და მათი მოკავშირენი. პოეტს, რომელიც მრავალრიცხოვანი გმირის პერსონაჟურად ამოქმედებას ახდენს ბრძოლის ველ-

ზე, არასოდეს არ ავიწყდება ხალხი. მასა უქმნის „ილიადაში“ აღწერილ ძირითად მოვლენებს მასშტაბურობას, იგი საერთო, სახალხო ჟღერადობას ანიჭებს ყოველივე მნიშვნელოვანს, რაც პოემაში ხდება. შეიძლება ითქვას, რომ „ილიადას“ მთავარი „გმირები“ არიან საერთოდ აქაველები და ტროელები მოკავშირეებითურთ; სწორედ ამიტომ არა მარტო ცალკეულმა გმირებმა მოიპოვეს ჰომეროსის შემდგომ ტრადიციაში პარადიგმატული მნიშვნელობა, არამედ აქაველებმა და ტროელებმაც, როგორც მოირას მიერ ზოგადად ხალხისათვის განსაზღვრული ბედის სიმბოლოებმა (გორდეზიანი 2014: 121-122).

აღსანიშნავია, რომ ჰომეროსმა მოახერხა, არ შეექმნა მტრის ხატი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. მან აქაველები და ტროელები ერთნაირი სიმპატიით დახატა. „ილიადას“ მესამე სიმღერაში ხალხი, როგორც აქაველებისა და ტროელების გულშემატკივარი ძალა, საინტერესოდ წარმოაჩენს მათ გულწრფელ სურვილს, ბრძოლაში უპირატესობა მოიპოვოს მან, ვისაც ეს უკანასკნელნი გულშემატკივრობენ. ისინი ლოცულობენ და ხელებაპყრობილი მიმართავენ მაღალ ღმერთს: „მამა ზევსო, რომელიც იდიდან მეფობ, უსახელოვანესო და უდიდესო, ამ ორიდან რომელმაც მოიტანა ეს უბედურება, ის დაიღუპოს და შევიდეს ჰადესის სასახლეში, ჩვენში კი დამკვიდრდეს მეგობრობა და სარწმუნო ფიცი“ (ჰომ., ილიად., 3, 320-325).

„ილიადას“ მეორე სიმღერაში აგამემნონი მიმართავს დიდგულოვან მოხუცთა საბჭოს, სადაც ჩანს, რომ ტროელთა დამარცხება გარდაუვალია, თუმცა, ამას, ცხადია, ერთი ან ორი ადამიანი ვერ შეძლებს და საჭიროა, ამაში აქაველთა მთელი ამაღლა ჩაერთოს. დიდგულოვან მოხუცთა საბჭოს, როგორც მეორეხარისხოვან კრებით პერსონაჟს, ის ფუნქცია აკისრია, რომ მთავარ გმირებს დაეხმარონ ბრძოლასა თუ გონიერი გადაწყვეტილებების მიღებაში. ხალხი, როგორც მორალურად გვერდით მდგომი ძალა, საინტერესოდაა წარმოჩენილი როგორც აქაველთა სახით, ასევე ტროელთა ერთობითაც. ორივე საბრძოლო რაზმს ჰყავს ყველაზე დიდი გულშემატკივარი - თავიანთივე თანაგუნდელები.

მეექვსე სიმღერაში, როცა ჰექტორი სკაიის კარიბჭესთან მივა, მას დახვდებიან ტროელთა მეუღლეები და ქალიშვილები, რომლებიც მას ეკითხებიან ბოდნენ შვილებზე, ძმებზე, მეზობლებსა და ქმრებზე. მათ კი გმირი ეუბნება, რომ ღმერთებისთვის ილოცონ, რადგან უამრავი ადამიანი შეეპყრო წუხილს. ქალთა კრებითი სახე აქ წარმოაჩენს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ლოცვა ომში მყოფთათვის.

საინტერესოა, ასევე, მონაქალები, რომლებიც პატროკლოსის გამო ტი-

ვ. ენდელაძე

რიან, აქილეესს შემოეხვევიან და მუხლები მოეკვეთებათ. პოემაში მათი ფუნქციაა - გმირის სახე მთელი სიცხადით წარმოაჩინონ. ისინი რომ გულდათუთქული დასტირიან პატროკლოსს, ამ უკანასკნელის მიმართ მკითხველს კიდევ უფრო უმძაფრებენ სიმპათიას.

გვინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვათ ფაქტს, რომ ჰომეროსი იმ მეორეხარისხოვანი პერსონაჟების არანაკლებ საინტერესო გალერეას გვთავაზობს, რომლებიც არ არიან ადამიანები, რომელთაც ბაგეებით მეტყველება არ შეუძლიათ. ასეთებია: ცხოველები, ფრინველები, ბუნების ძალები (ქარები), სიზმარი, ძილი... მაგალითად, ჰომეროსის „ილიადაში“ არის ერთი ეპიზოდი, როდესაც ბრძოლას გარიდებული აიაკოსის ძის ცხენები მათივე მეეტლის ჰექტორისაგან მოკვდინებას ცხარე ცრემლით გლოვობენ (ჰომ., ილიად., 460-465). როგორც ვიცით, ცხოველს, ადამიანისგან განსხვავებით, ტირილით მძიმე ემოციისა თუ განცდის გამოხატვა არ შეუძლია. ამ ფაქტით კი, ჰომეროსი წარმოაჩენს ოთხფეხა უტყვი არსების ისეთ თვისებას, რომელიც, უმეტესწილად, ადამიანისთვისაა დამახასიათებელი და, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს გმირისადმი მათ დამოკიდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, მათი პატრონის კეთილ თვისებებზე მიაჩნშნებს, ცხოველების ასეთი სიყვარული რომ დაიმსახურა.

„ილიადაში“ საყურადღებო მეორეხარისხოვანი პერსონაჟია, აგრეთვე, ცხენი ქსანთოსი, რომელსაც ავტორმა, ფაქტობრივად, აწინასარმეტყველებინა მთავარი გმირის, აქილეესის, აღსასრული, როცა ჰომეროსმა ათქმევინა: ჩვენ ორს შეგვიძლია ძეფიროსის სუნთქვასავით გავფრინდეთ, რომელზეც ამბობენ, რომ ყველაზე უფრო მსუბუქია, მაგრამ შენ მაინც გიწერია ღმერთისა და კაცის ხელით სიკვდილი“ (ჰომ., ილიად., 410-415). როცა ჰერასგან ამეტყველებული ცხენი ამას ამბობდა, მას ხმა ერინებმა ჩააკმენდინეს, დროზე ადრე რომ არ გამჟღავნებულიყო აქილეესის გარდაუვალი სიკვდილის ამბავი. თუმცა, მკითხველი უკვე ცხენ ქსანთოსისგან ინფორმირებული და ჩაფიქრებულია მოსალოდნელი საფრთხის გამო.

ძველბერძნულ ტრადიციაში წინასწარმეტყველური ფუნქციის მქონე ფრინველები წარმოდგენილი არიან მტაცებელი ფრინველების სახით; ჰომეროსის ეპოსში არწივის გამოჩენა კომპოზიციურად ყოველთვის რაღაცას მოასწავებს. გარდა წინასწარმეტყველური დანიშნულებისა, ფრინველთა ფრენის ხასიათი, მათი ყივილი და სხვა, მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.

ამ მხრივ, საყურადღებოა „ილიადას“ ის ეპიზოდი, სადაც ჰეკაბე პრიამოსს ეუბნება, ილოცე შავდრუბლიან კრონიონზე, რომელიც იდიდან ხე-

დავს მთელ ტროას, სთხოვე, ფრინველი მოგივლინოს სწრაფ მაცნედ, მისთვის საყვარელი, უმძლავრესი ფრინველი, მარჯვნიდან აფრინდეს, საკუთარი თვალით რომ დაინახო და დარწმუნებული წახვიდე სწრაფცხენიანი დანაელების ხომალდებისკენო. პრიამოსის თხოვნასაც უმაღვე შეისმენს უზენაესი და მას არწივს მოუვლენს (ჰომ. ილიად., 310-315).

„ილიადაში“ ჩვენი ყურადღება მიიპყრო სიზმარმა, როგორც მეორეხარისხოვანმა პერსონაჟმა პირველხარისხოვანი ფუნქციით. პირველ სიმღერაში ზევსი აგამემნონს გაუგზავნის სიზმარს, რომელმაც უზენაესის დანაბარები უნდა გადასცეს გმირს (ილიად., 2,20-30). ეს სიზმარი ყურადღებას რამდენიმე ასპექტით იპყრობს:

1. იგი ღვთაებრივი წარმოშობისაა. ჯერ ავტორი ამბობს, რომ ზევსმა დაასიზმრა: „გულში გაივლო ბოლოს ზევსმა ასეთი აზრი: სწვეოდა ატრიდს, აგამემნონს, ძილისშორისი“ (ჰომ.ილ.2,5-6); ხოლო შემდეგ აგამემნონი თავადვე მიაწიშნებს, რომ მისი სიზმარი ღვთაებრივი წარმოშობისაა („ღვთაებრივი ვნახე ზმანება... დამიდგა ღმერთი სასთუმალთან...“);

2. გმირი, რომელიც აქაველთა გავეშებულ ლაშქარს წინამძღოლობს და დიდ თუ პატარა ომებს იგებს 10 წლის განმავლობაში, ცდება სიზმრის ინტერპრეტაციისას. აგამემნონი დარწმუნებულია ღვთაებრივ ნებაში – აქაველებმა ადრე თუ გვიან ეს ომი უნდა მოიგონ და ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი სიზმრის სისწორეში. მხედართმთავარი არ ფიქრობს იმაზე, რომ შეიძლება ყველაფერი აქაველთა საწინააღმდეგოდ შემოტრიალდეს. ამიტომ საკუთარი სიზმრის ინტერპრეტაციას გმირი თავადვე აკეთებს და სიზმრის ახსნისათვის არ მიმართავს მისანს, ან ორაკულს. აგამემნონი თვლის, რომ სიზმარი დადებითად წინასწარმეტყველურია. და იმდენად არის სიზმრის ზეგავლენის ქვეშ, რომ ეს უკანასკნელი მასში ომის განახლების სურვილს აღძრავს.

სიზმრისადმი აგამემნონის ამგვარი დამოკიდებულება კიდევ იმით არის განპირობებული, რომ სიზმრის შიკრიკი მას ევლინება ისეთი ადამიანის (ნესტორის) სახით, რომელსაც აგამემნონი დიდ პატივს სცემს და მისი ღრმად სჯერა. როგორც ჩანს, ჰომეროსმა შეცდომაში შემყვანი სიზმრის მაუწყებლად იმიტომაც შეარჩია პირი, რომელიც ყველა გმირს აღემატება გონიერებით (პოემაში ყველა გმირი ჭკვიანი და გონიერია, მაგრამ მხოლოდ მის მიმართ იყენებს ჰომეროსი ეპითეტს „ბრძენი“ (σφοδρ) და რომელსაც ყველა ენდობა, მათ შორის, ქედმაღალი (σφιδ) აგამემნონიც (დევიძე 2013: 27-28).

„ილიადას“ მეცამეტე სიმღერაში წარმოდგენილია ძილი, როგორც პერ-

ვ. ენდელაძე

სონაჟი. ჰერა სთხოვს ძილს, დამიძინე ზევსის წარბებს ქვეშ მოელვარე თვალები და ამის სანაცვლოდ შენ ქარებიდან ერთ-ერთ ყველაზე ნორჩს გამოგაყოლებ, რომელსაც შენ მეუღლეს უწოდებო. ძილი გაიხარებს და ჰერას ეტყვის, სტიქსის წყალზე დაიფიცოს, რომ მას მისცემს ქარებიდან ყველაზე ნორჩს, პასითეას, რომელიც მას ყოველთვის უყვარდა. აქ ძილის ფუნქცია ის არის, რომ უზენაესი დაადინოს. ასევე, ძილსა და სიკვდილს ევალებათ, სარპედონი ლიკიის მდიდრულ მხარეში დაკრძალონ, ყორღანიც ალუმართონ და სვეტიც დაუდგან, ესაა მოკვდავებისთვის პატივი“ (ჰომ., ილიად., 16, 670-675).

ხშირად, ჰომეროსის პოემაში არამატერიალური სახის მქონე პერსონაჟები ხელს უწყობენ მთავარ გმირს, მიიღონ ამომწურავი პასუხი ყველა შეკითხვაზე. ისინი, მართალია, ფიზიკურად არ არსებობენ, თუმცა შეუძლიათ, ისეთი ძალა და უნარები გამოამჟღავნონ, რომლებიც ჩვეულებრივი, ცოცხალი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება.

მაგალითად, „ილიადას“ ოცდამესამე სიმღერაში, როცა აქილეესმა მეგობრული და ადამიანური მოვალეობა უნდა შეასრულოს - კოცონს მისცეს დაღუპული მეგობრის, პატროკლოსის სხეული, რათა მისმა სულმა სამუდამო განსასვენებელი ჰპოვოს, გმირი, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, კოცონს ვერ დაანთებს. ამის შემდეგ, ფეხმარდი გმირი კოცონიდან შორს დადგება და თხოვნით მიმართავს ორ ქარს (ჰომ., ილიადა, 32, 200). ქარები „იმავეწამს მივიდნენ ზღვასთან, დაუბერეს და აღიმრა ტალღა მათი ხმაურიანი სუნქოვით, ნაყოფიერ ტროას მიადგნენ, თავს დაესხნენ კოცონს და დიდ ხმაზე აგუგუნდა ღვთაებრივი ცეცხლი“ (ჰომ., ილიად., 23, 210-220). აქ ქარების ფუნქციაა, დაეხმარონ მთავარ გმირს, აქილეესს, ადამიანური მოვალეობის შესრულებაში (შდრ.: Morris 1997; Powell 2007; Vidal-Naquet 2000).

კიდევ ბევრი შეგვეძლო გვეთქვა. მაგალითად, როგორ წარმოჩნდება აქილეესის მეგობრობის ნიჭი პატროკლოსთან მიმართებაში, მენელაოსის მამაცობა - პარისტან მიმართებაში, ჰეკაბეს როლზე ტროელ ქალთა დარაზმვაში, ნესტორის ბრძნული რჩევები როგორ ეხმარება აგამემნონს და სხვა გმირებს, მენტორის მომაბეზრებელი დარიგებებისგან განსხვავებით, ღმერთების ფუნქციაზე „ილიადას“ სიუჟეტში, და სხვა, მაგრამ ამ ეტაპზე ცოტა სადავოდ გვეჩვენება საკითხი, რამდენად მეორეხარისხოვანი არიან ეს გმირები, ღმერთების ჩათვლით და ამჯერად, ამ ტიპის მსჯელობისგან თავს შევიკავებთ.

ამგვარად, როგორც შევძელით, ვაჩვენეთ, რომ მეორეხარისხოვანი პერ-

სონაჟების საშუალებით წარმოქმნიდა ჰომეროსის „ილიადაში“ ცნობილი მთავარი გმირების სახე, მათი სიმამაცე თუ უძლურება. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან მთავარ გმირებს ამა თუ იმ სიძნელისა თუ დაბრკოლების გადალახვაში, ან პირიქით, ხელს უშლიან დასახული მიზნის მიღწევაში; მკითხველს ეხმარებიან, უკეთ დაინახონ, შეიყვარონ, შეიძულონ მთავარი გმირი, ან დარჩენ სრულიად ნეიტრალური მათ მიმართ (გაფრინდაშვილი... 2011:56; გაჩეჩილაძე 1957:83).

მეორეხარისხოვანი ეპიკური პერსონაჟები ქმნიან კონფლიქტს, ავითარებენ სიუჟეტს და მთავარი გმირის ტრანსფორმაციის კატალიზატორნი (შდრ.: Веселовский 1989:98). ურთიერთობა, რომელსაც ეპიკური გმირი ქმნის ამ მეორეხარისხოვან პერსონაჟებთან, ავითარებს ერთ უწყვეტ რკალს და როგორც წყდება ეს ურთიერთობები, ეპოსის სიუჟეტის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია.

მთავარი პერსონაჟები, როგორც წესი, ჰომეროსის ეპოსში, არიან დინამიურები, იზრდებიან, იცვლებიან, კვდებიან და სიუჟეტიც იქ მთავრდება, მაგალითად, როგორც ჰექტორის გარდაცვალების დროს. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები არიან უფრო სტატიკურები (Whallon 2014:37; Vernant 1990:122). მათი ხასიათი არ იცვლება და მათი გამოყენება მუდმივად შეიძლება სიუჟეტის დამაბვის, ან განმუხტვის, უარყოფითი მხარის ხაზგასმის, ან დადებითი წარმოჩენის მიზნით. ისინი მუდმივად გვხვდებიან მთავარი გმირების გვერდით, მაგალითად, მისნები.

„ილიადას“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რა თქმა უნდა, ვერ მოექცევიან ისეთივე ყურადღების ქვეშ, როგორც მთავარი გმირები, მაგალითად, აქილეუსი, ჰექტორი, აგამემნონი, მენელაოსი, მაგრამ, ისინი ხშირად უფრო ეფექტურნი არიან, ვიდრე ზოგიერთი ეპიკური გმირი. „ილიადას“ 956 გმირიდან, წარმოუდგენელია, ყველა ერთნაირი სიძლიერით იყოს დახატული, მაგრამ ბევრი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი გვამახსოვრებს თავს, გარკვეულ ამინდს და სიუჟეტის განვითარებისთვის დასრულებულ მხატვრულ სახეს ქმნის (შდრ.: Carlier 1999; Floveri 2004; Latacz 2004). მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ჰომეროსს საკვანძო მომენტებში შემოჰყავს „ილიადაში“. მათ არც ისე ბევრი ეპიზოდი ეთმობათ, თუმცა, როგორც ვნახეთ, მათი პირველხარისხოვანი ფუნქცია მკაფიოდ არის გამოხატული - ელენეს მშვენიერებაში გვარწმუნებენ ბუზლუნა მოხუცები, ტროელი ქალების შეშფოთება და წუხილი ტროას დაცემაზე მიგვანიშნებს, სიზმარშიც ამაზევე კეთდება მინიშნება და ცხენი ქსანთოსის საშუალებით გვახვედრებს ჰომეროსს, რომ აქილეუსი გარდაიცვლება.

და ბოლოს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ჩვენი კვლევის მთავარი დას-

ვ. ენდელაძე

კვნა: მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ჰომეროსის „ილიადაში“ მაინც სამკაულია, მთავარ გმირებს რომ ამშვენებენ, ხან იაფფასიანი, ხან შედარებით ძვირფასი. ისინი, გარკვეული დროით, იქცევენ მკითხველის ყურადღებას, მაგრამ მკითხველის მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, მაინც ეპიკური გმირისკენ არის მიპყრობილი. უბრალოდ, სადაც არსებობს მთავარი გმირი, ყოველთვის იქნება მეორეხარისხოვანი პერსონაჟიც, ხშირად, სწორედ, პირველხარისხოვანი ფუნქციით.

ლიტერატურა

- გორდეზიანი, რ. 2014. *ბერძნული ლიტერატურა*, თბილისი: „ლოგოსი“.
- გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი, მ. 2011. *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები*. თბილისი: მერიდიანი 2011.
- გაჩეჩილაძე, ს. 1957. *ლიტმცოდნეობის შესავალი*. თბილისი.
- დევიძე, ნ., 2013, *სიზმრის ფენომენი ანტიკურ ლიტერატურაში*, ქუთაისი.
- ჰომეროსი. 2015. *ილიადა*. თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა. თბილისი: ბაკური სულაკაურის გამომცემლობა.
- Carlier, Pierre. 1999. *Homère (in French)*. Paris: Les éditions Fayard. ISBN 978-2-213-60381-0.
- Floveri, Fowler, Robert, ed. 2004. *The Cambridge Companion to Homer*. Cambridge: Cambridge University Press. ISBN 978-0-521-01246-1.
- Homer. 2015. *The Iliad*. With an English Translation by Green P. California: University of California Press.
- Latacz, J. 2004. *Troy and Homer: Towards a Solution of an Old Mystery*. Oxford: Oxford University Press. ISBN 978-0-19-926308-0.
- Morris, Ian; Powell, Barry, B. eds. 1997. *A New Companion to Homer*. Leiden: Brill. ISBN 978-90-04-09989-0.
- Powell, Barry, B. 2007. *Homer* (2nd ed.). Malden, MA; Oxford, UK; Carlton, Victoria: Wiley-Blackwell. ISBN 978-1-4051-5325-6.
- Whallon, W. 2014. “Formula, Character and Context”. In: *Encyclopedia of Ancient Greek Language and Linguistics*. Ed: Giannakis G. Leiden/Boston: Brill.
- Vernant, J. 1990. *Myth and Society in Ancient Greece*. New York: Zone Books.
- Vidal-Naquet, Pierre. 2000. *Le monde d’Homère (in French)*. Paris: Perrin. ISBN 978-2-262-01181-9.
- Веселовский А. 1989. *Историческая поэтика*. Москва: Высшая школа.

Classics

Homer. Iliad: Secondary Characters

Vakhtang Endeladze

endeladze.vakhtangi@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

In the article, we focus on the secondary characters of the Homeric epic, who surround the main characters or heroes and actively participate in the development of the action, playing a positive or negative role. Secondary characters have a great role in revealing the faces of the main characters. In the poems by Homer, the face of the main character, his courage or weakness is mainly revealed through them. Secondary characters, in many cases, help Homer's heroes to overcome this or that difficulties. There are cases when the secondary characters, prevent the main characters from achieving their goals, instead of helping them. What role the secondary character plays in the poem, depends on what the epic writer wants to emphasize. The secondary characters we present in the article create conflict, develop the plot, and are the catalysts for the main character's transformation. The relationships that the epic heroes form with these secondary characters develop into one continuous arc, and how these relationships are resolved is one of the main plot elements of the Homeric epic. This is quite an important line, which often seems to be secondary, but it is unique, and if "The Iliad" is "The Iliad", "The Odyssey" is "The Odyssey", and "The Aeneid" is "The Aeneid", with Achilles, Odysseus, and Aeneas, the contribution of Andromache, Penelope and Camilla is also quite large. Secondary characters in Homer's "The Iliad" and "The Odyssey" can be said to be supporting characters, those who, on the one hand, help the main characters appear in a better or worse way, and on the other hand, help the reader to better see, love or hate the main character, or remain completely neutral towards them.

Keywords: Secondary Character, Epic Poetry, Ancient Literature Hero, Artistic Face, Epic Face, Main Character, Literature.

There are multiple objects of admiration and study - the main and relatively understudied, in our opinion, underappreciated, neglected, secondary characters of the works of art. In the article, we try to analyze the functions of the secondary characters in Homer's "Iliad", expressive meth-

3. ენდელაძე

ods, their role in the development of the plot and give them a “deserved” place in the uniqueness of the famous work, next to the equally famous main characters.

We conducted the work in the following directions: we defined the literary aspects of the character in general and of the secondary character in particular, such as: an artistic face, a main character, a secondary character, a hero of the ancient epic; We have classified the secondary characters in Homer’s “Iliad” according to their role and function (Homo Sapiens: better representatives of the heroes, misses, collective characters...; un-leaded: animals, birds, those with immaterial faces; natural phenomena...); We have shown what a different load the secondary character received in Homer’s works; We have determined the general regularities of the imagination of secondary characters in ancient epic poetry.

During the research, we “discovered” a total of 48 secondary characters with primary functions in “Iliad”. Of them, 18 are men, 2 - women, 4 - collective names, 2 - Missans; 4 - birds, 5 - animals, 4 - spirits, 3 - natural phenomena (winds). As for the characters with an immaterial face, in their case, in terms of number, the following image was distinguished: dream - 1; prayer - 1; pride - 1; sleep - 2; fear - 1; trembling - 1; death - 1.

All of them perform different functions in relation to the main characters of the poem.

In the very first song of the Iliad, there is an episode with the secondary character Thersites. Homer describes Thersites as follows: “He had in his heart endless and meaningless words, with which, without any order, he argued with the kings, but somehow to make the people of Argos laugh - he was the most shameless man among those who came to Ilion (Hom., Iliad., 1, 220-225) . Despite such a characterization, let’s realize the function of Thersity in this episode and in the poem “Iliad” in general: 1. He is the first hero in world literature to reprimand someone who is above him (in this case, the leaders); 2. He is the first in fiction to speak out against injustice; Therefore, even if Thersites has no other function in this poem, he has already established his role as the first rebel in the history of literature; Also, in the 3rd episode of Thersites, the faces of the main characters are revealed: Agamemnon as an unjust appropriator, Odysseus as a rather rude warrior, and finally Achilles as a righteous, just, defender of the oppressed.

The episode of the old Trojans, who first lay eyes on a beautiful Helen

is very interesting for us. Old men sit by the walls of Troy and grumble about what kind of woman she is, why the lives of so many innocent people should be sacrificed to her. At this time, the beautiful Helen arrives. The old men open their mouths, fascinated by Elena's beauty, and then they will shake their heads and say - oh, no, it's worth fighting so much for such a woman. What did Homer do? He, as a great genius, probably knew very well that some people like a priest and others like a priest's wife; That it would be difficult to describe such a beauty of a woman, that it would delight everyone in the same way. Therefore, we cannot find a description of Helen's physical beauty in the poem, nor do we know whether she was black-haired or blond, had blue or black eyes, but if her beauty affected the emotions of many elderly people, Homer left no doubt to the reader that Helen would be really beautiful. And to show this, the epic used the secondary characters - grumpy Trojan old men.

In addition to the fact that the bravery of the main characters can be seen in the battles, Homer also tries to paint a complete portrait of them in the nuances. Consider, for example, the episode of the meeting of Menelaos and Adrastos. Adrastos says to Menelaos: "Give me life, son of Atreus, and accept a worthy ransom (Hom., Iliad., 6, 50-55). At first, Menelaos seems to think of keeping Adrastos alive, but at that moment Agamemnon approaches him and says, dear Menelaos, what are you doing to this man, the Trojans have invaded your house and you must kill this man with your own hands. In this episode, we see that Menelaos is both sensitive and forgiving, yet when it comes to his own people and dignity, he can be cruel and unforgiving.

Agamemnon's artistic face is well revealed in the episode where he defeats Peisandros and Hippolychos. They beg the hero: "Take us alive, son of Atreus, and receive a worthy ransom*", although Agamemnon will not spare them and will save both of their lives (Hom., Iliad., 11, 130-135). This episode caught our attention with the secondary characters offering the main character a kind of bribe to save his life. Obviously, the fight of the Achaean heroes against the Trojans is mainly focused on the return of Helen, but they also want to take the booty with them. This is exactly what Thersites argued with Agamemnon at the beginning of the poem - *I will give you all the booty*. Despite this, when it comes to the dignity and morality of the Greeks, we see how material well-being takes a back seat for the heroes - Agamemnon refuses a "bribe" and does not want the

3. ენდელაძე

lives of the captives. The role of the secondary characters, Peisandros and Hippolykos, in the poem is also quite first-rate - in their episode we were convinced that Agamemnon is not for sale.

In the ancient Greek tradition, birds with a prophetic function are represented as birds of prey; The appearance of an eagle in Homer's epic always suggests something compositionally. In addition to the prophetic purpose, the nature of the birds' flight, their chirping, etc., allows for many interpretations.

In "Iliad" our attention was drawn to the dream as a secondary character with a primary function. In the first song, Zeus will send a dream to Agamemnon, who must convey the wisdom of the Supreme to the hero (Iliad., 2,20-30). This dream attracts attention in several aspects:

1. It is of divine origin. First, the author says that Zeus had a dream: "Finally, Zeus had this thought in his heart: He was burning Atreus, Agamemnon, between sleep" (Hom.il.2,5-6); And then Agamemnon himself points out that his dream is of divine origin ("I saw a divine vision... God stood before me at Sastumal...");

2. The hero who leads the marching army of the Achaeans and wins big or small wars for 10 years is wrong in the interpretation of the dream. Agamemnon is sure of the divine will - the Achaeans must win this war sooner or later, and he does not even doubt the correctness of the dream. He does not think that everything can turn against the Archaiaans. Therefore, the hero interprets his own dream himself. Agamemnon believes that the dream is positively prophetic (cf. Oppenheim 1996:175-77). And he is so much under the influence of the dream that the latter arouses in him the desire to renew the war.

Sleep is presented as a character in the thirteenth song of the *Iliad*. The function of sleep here is to put the Supreme to sleep. Also, it is incumbent upon sleep and death to bury Sarpedon in the rich region of Lycia, to erect a grave and erect a column, this is honor for mortals" (Hom., Iliad., 16, 670-675).

Often, in Homer's poem, characters with an intangible face help the main character to get the complete answer to all the questions. Although they do not exist physically, they are capable of manifesting powers and abilities that exceed the capabilities of an ordinary, living person.

For example, in the twenty-third song of "Iliad", when Achilles has to fulfill a friendly and human duty - to give the body of his dead friend,

Patroklos, to the bonfire so that his soul can find eternal rest, the hero, despite his great efforts, cannot light the bonfire. After that, the hero on foot will stand far from the bonfire and appeal to the two winds (Hom., *Iliad*, 32, 200). The winds “immediately came to the sea, blew and stirred up the waves with their noisy breath, they came to fertile Troy, attacked the bonfire, and the divine fire roared loudly” (Hom., *Iliad*, 23, 210-220). Here the function of the winds is to help the main character, Achilles, to fulfill his human duty.

We could say a lot more. For example, how Achilles’ gift of friendship appears in relation to Patroclus, Menelaos’s bravery in relation to Paris, Hecabe’s role in the troop of Trojan women, how Nestor’s wise advice helps Agamemnon and other heroes, as opposed to Mentor’s boring lectures, the function of the gods in the plot of the *Iliad*, and others, but at this point the question of how secondary these heroes are, including the gods, seems a bit controversial, and this time we will refrain from this type of reasoning.

In this way, we have shown that through the secondary characters, the face of the famous main characters in Homer’s “*Iliad*”, their bravery and weakness can be seen. Secondary characters, in many cases, help the main characters to overcome this or that difficulty or obstacle, or on the contrary, prevent them from achieving the set goal; Readers are helped to better see, love, hate, or remain completely neutral towards the main character.

Epic supporting characters create conflict, develop the plot, and catalyze the main character’s transformation. The relationship that the epic hero creates with these secondary characters develops into one continuous arc, and how these relationships are resolved is one of the main elements of the epic’s plot.

The main characters, usually in Homeric epics, are dynamic, grow, change, die, and the story ends there, for example, when Hector dies. Secondary characters are more static. Their character does not change and they can be used constantly to stress or relieve the story, to emphasize the negative side, or to present the positive. They are constantly found next to the main characters, for example, Misses.

The secondary characters of the *Iliad* certainly do not receive the same attention as the main characters, such as Achilles, Hector, Agamemnon,

Menelaus, but they are often more effective than some of the epic heroes. Of the 956 heroes of the *Iliad*, it is impossible to imagine that all of them are drawn with the same strength, but many secondary characters make us remember ourselves, create a certain weather and a finished artistic face for the development of the story.

Secondary characters introduce Homer at key moments in the *Iliad*. Not so many episodes are devoted to them, however, as we have seen, their primary function is clearly expressed.

Finally, I would like to emphasize the main conclusion of our research: secondary characters in Homer's "*Iliad*" are still jewels that adorn the main characters, sometimes cheap, sometimes relatively precious. They attract the attention of the reader for some time, but the main attention of the reader, of course, is still drawn to the epic hero. Simply, where there is a main character, there will always be a secondary character, often with a primary function.